საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8836/01
20/08/2021

8836-01-2-202108200930

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 1 ივლისის N11654 წერილი, რომელიც ეხება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე შრომისხევის ნაპირსამაგრი სამუშაოების სკრინინგის განცხადებას და ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტის ფარგლებში არ იგეგმება ხე-მცენარეების მოჭრა. ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე წითელი ნუსხის ხე-მცენარეები და ბუჩქები არ არის წარმოდგენილი. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ ადგილზე შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ვერხვის სახეობის ხე-მცენარეები, რომლის ნაწილის დიამეტრი აღემატება 8 სმ-ს და პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა მათი ბუნებრივი გარემოდან ამოღება (მოჭრა), რაც საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისი დადგენილების №221 „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ შესაბამისად საჭიროებს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ხე-მცენარეულ საფარზე ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი მდებარეობს ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიაზე“ (გვ. 6). მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ლაგოდეხის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას, ამასთან, წარმოდგენილ ზზშ-ს დოკუმენტში (გვ. 48) მითითებულია, რომ „პროექტით ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია მდ. შრომისხევზე ლაგოდეხის აღკვეთილის ადმინისტრაციულ ზონაში“, რაც ასევე საჭიროებს კორექტირებას;

- სკრინინგის ანგარიშში (გვ. 8) მოცემული ინფორმაცია „ნაკრძალის ტერიტორიაზე მდინარეს გააჩნია შთამბეჭდავი გურგენიანის ჩანჩქერი“ - საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდინარე შრომისხევზე, ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიაზე გვხვდება 7 მეტრიანი „როჭოს ჩანჩქერი“;
- ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილ რუკაზე - „პროექტის ტერიტორია“ (გვ. 3) სათანადოდ არ არის დატანილი საპროექტო ტერიტორია, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- წარმოდგენილ ზზშ-ს დოკუმენტში (გვ. 24) მოცემული ინფორმაცია „საველე დათვალიერებისას უშუალოდ პროექტის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არცერთი ტიპის ჰაბიტატი არ დაფიქსირდა“ საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილ ზზშ-ს ანგარიშის მიხედვით ((გვ. 41) „ზემოქმედება ხელფრთიანებზე“) სამშენებლო ტერიტორია არ წარმოადგენს ხელფრთიანების სამყოფელს. ამავე დროს წარმოდგენილ ზზშ-ს დოკუმენტში (ცხრილი 6) ხელფრთიანებზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებად წარმოდგენილია „სამუშაოების განხორციელების ოპტიმალური პერიოდის შერჩევა (ოქტომბერი-მაისი)“. ვინაიდან სამშენებლო ტერიტორია, რაც ასევე სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული, არ წარმოადგენს ხელფრთიანების სამყოფელ/გასამრავლებელ ტერიტორიას, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილ ზზშ-ს ანგარიშში (ცხრილი 6) მცენარეების ნაწილში მითითებულია, რომ მაღალ მოცვზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს მაღალი მოცვი არ ფიქსირდება, შესაბამისად ზემოქმედება „მოსალოდნელი არ არის“. აღნიშნული საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში ტექსტის ნაწილი (გვ. 7; 10; 12) იკითხება ლათინური ასოებით. სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი შრიფტით (ერთიანი სტანდარტით - ქართული შრიფტით (sylfaen)).

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე